ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი #5

ქ. ონი 18. 05. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გივი მეტრეველი.

სხდომას კომისიის 10 წევრიდან ესწრებოდა 7 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე.

არ ესწრებოდნენ: ნონა მაისურაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი

სხდომას ესწრებოდნენ-შპს ,,ჯეო ექსპერტისა" და შპს ,,ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის" ტექნიკური ზედამხედველები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 11 პროექტი, 2020 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამით 2 პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 10 პროექტი, მათ შორის 4 პროექტი დასრულებულია, მოპოვებული გრანტით მიმდინარეობს 3 პროექტი, მათ შორის 2 დასრულებულია, სახელმწიფოს

დაფინანსებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 78 პროექტიდან 28 სუბიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება, აქედან 10 ობიექტზე დაწყებულია სამუშაოები. ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა ობიექტზე ჩამორჩენაა გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში.

ტექნიკური ზედამხედველებისა და კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ჩამორჩენას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. ობიექტურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს აპრილსა და მაისის თვის დასაწყისში გარე სამუშაოების წარმოებისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები, მაგრამ ასევე იკვეთება მომსახურების მიმწოდებლების არასათანადო დამოკიდებულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისადმი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დროულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები ჩამორჩენის დასაძლევად. სასურველი შედეგების მისაღებად საჭიროა, მუდმივ რეჟიმში ხდებოდეს მუშა პროცესების მკაცრი კონტროლი შესაბამისი საზედამხედველო სუბიექტების მიერ. **კომისიამ გადაწყვიტა** კომისიის დასკვნა გადაეგზავნოს ონის მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი რეაგირებისათვის.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 19 მაისს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი: ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

დღეის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 11 პროექტი, 2020 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამით-2 პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით-10 პროექტი, მათ შორის 4 პროექტი დასრულებულია, მოპოვებული გრანტით მიმდინარეობს 3 პროექტი, მათ შორის 2 პროექტი დასრულებულია, სახელმწიფოს დაფინანსებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 78 პროექტიდან 28 სუბიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება, აქედან 10 ობიექტზე დაწყებულია სამუშაოები. ზემოთ ჩამოთვლილ თითქმის ყველა ობიექტზე ჩამორჩენაა გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში.

ტექნიკური ზედამხედველებისა და კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ჩამორჩენას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. ობიექტურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს აპრილსა და მაისის თვის დასაწყისში გარე სამუშაოების წარმოებისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები, მაგრამ ასევე იკვეთება მომსახურების მიმწოდებლების არასათანადო დამოკიდებულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისადმი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დროულად გატარდეს სათანადო ღონისძიებები ჩამორჩენის დასაძლევად.

სასურველი შედეგების მისაღებად საჭიროა, მუდმივ რეჟიმში ხდებოდეს მუშა პროცესების მკაცრი კონტროლი შესაბამისი საზედამხედველო სუბიექტების მიერ.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე